




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დაუდ-ხანი



დაუდ-ხანი კასტელის  
ალბომი XVII ს.

დაუდ-ხანი (XVI ს. II ნახ. – XVII ს. I ნახ.), განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი 1625–33, წარმომავლობით ქართველი, უ ნ დ ი ლ ა ძ ე, ალავერდი ხანის ძე. ცოლად ჰყავდა თეიმურაზ I-ის და ელენე.

დ. ნიჭიერი მხედართმთავარი იყო. მისი ხელმძღვანელობით ირან. ჯარმა 1614 დაიპყრო გამბრუნი, 1618 არდებილთან შეაკავა ოსმალები და შემდეგ უკუაქცია ისინი. ეწეოდა დიდ სააღმშენებლო საქმიანობას – ააგო ბაზრები, ქარვასლები და სხვ. დ-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი სააკაძესთან და გარეული იყო მარტყოფის აჯანყების მომზადებაში.

დ. შაპის ბრძანებით აჯანყებულ ქართველთა წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, თუმცა, ავადმყოფობის საბაბით, უარი თქვა ამ ბრძანების შესრულებაზე. 1625, როგორც შაპის მოციქული, მონაწილეობდა თბილ. მახლობლად თეიმურაზ I-თან გამართულ მოლაპარაკებაში. დ-ის მცდელობით შემუშავდა საქართველოს მიმართ შაპ-აბას I-ის კომპრომისული პოლიტიკა.

1629 ირანში შაპ-სეფი I-ის კარჩე დაწინაურებულმა ქართვ. ბატონიშვილმა ხოსრო-მირზამ (შემდგომ ქართლის მეფე როსტომი) მოახერხა დ-ის ჩამოქვეითება. 1630–31 სეფი I-მა დ. მეჯლისიდან გააძევა. 1633 დ. აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ I-ის მეთაურობით სეფიანთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. დ-მა ყაჯართა ერთი ჯგუფი წაიყვანა

საქართველოში, შემდეგ აჯანყებულებმა ყაჟართა თავკაცები დახოცეს და განჯა-ყარაბაღი დაარბიეს. სეფი I-მა თეიმურაზს მოსთხოვა დ-ის გაცემა, სანაცვლოდ პატიებას შეპპირდა, მაგრამ თეიმურაზმა შაჰს უარი შეუთვალა.

დ-მა ოსმალეთს შეაფარა თავი.

წყარო: გორგიჭანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კავკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; დონპიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), ბ. გიორგაძის გამოც., თბ., 1977; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 3. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ., 1972; კ უ ც ი ა კ., კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, იქვე, [ტ.] 1, თბ., 1963; ფ ა თ ე მ ი მ. მ., სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწთა შესახებ, თბ., 1982.

**დ. კაციტაძე**

---